



**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი**



MES 1 21 0001423283

27/12/2021

**შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მონიტორინგთან  
დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განცხადების, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის, მე - 80 მუხლის პირველი, მე - 2, მე - 4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 88 - ე მუხლის პირველი, მე - 2 და 25 - ე პუნქტების და 103 - ე მუხლების შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის (ს./კ:204909858) მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოეხსნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 06 ივლისის N679985 გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებული სტუდენტთა მიღების შეზღუდვა.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 13 დეკემბერს.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 27 დეკემბრის N1423231 სხდომისოქმის 01 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნან ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

